

საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო კომიტეტის

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ФУЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ И СПОРТА И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 სექტემბერი, სამშაბათი, 1986 წ. № 189 (2350) © უსსი 3 კპს.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

პროლეტარული კულტურის განვითარების მიზნებისათვის ანგარიშგება-არჩევნები

საპროლეტარული კულტურის განვითარების მიზნებისათვის ანგარიშგება-არჩევნები

მომავლისათვის, პირადი და კოლექტიური პასუხისმგებლობის, ცხოვრების უფელა ხეობაში გარდაქმნათა განხორციელების ატმოსფეროში მიმდინარეობს პარტიულ ორგანიზაციებში წლივანდელი ანგარიშგება-არჩევნები.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ბოლო წლებში შესამჩნევია ძვრები მოხდა. ბევრგან აქტიურად დაიწყო ხადრეტივიზ ორგანიზაციების, ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებების გადაწყვეტილებების განხორციელება და შედეგებიც თვალსაჩინოა, მაგრამ ბევრგან ინერტულობა ვერ დაუძლევათ. მონდომებით, ადგილობრივი შესაძლებლობების და რეზერვების ამოკმედებით, საქმისადმი პასუხისმგებლობის დამოკიდებულებით, ცხადია, არაერთი პრობლემის გადაჭრა შეიძლება, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო მეტ სტიმულს მინცემდა ჩვენს წინსვლას. ახლა პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარე საანგარიშო-სარჩევნო კრებებზე კომუნისტები პირუთვნელად მსჯელობენ ნაკლოვანებებზე, ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებზე, რათა კონკრეტული სამომავლო გეგმები უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს. რესპუბლიკის სპორტსახკომში, როგორც ამ ხეობაში ერთიანი პოლიტიკის გამტარებელმა სახელმწიფო ორგანომ, წლივანდელი ანგარიშგება-არჩევნებს, როგორც შარშან, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. სპორტსახკომის პარტიულმა ორგანიზაციამ კრებებზე აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები შიამაგრა. კრებებს ესწრებთან შემდგომი ხელმძღვანელი პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლაში ჩატარებულ საანგარიშო-სარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა დაუფარავად ილაპარაკეს ამ სკოლაში დამკვიდრებული მუშაობის მანკიერ სტილზე. ითქვა, რომ ნაკრები გუნდების მზადებაში გამოკვეთილი არ იყო სკოლის როლი. აქ სპორტკადის დებულებაც არ განხილავთ, იქნებ ამიტომაც ჰქონდა ადგილი სპორტკადის წევრებში გულგებობას. კრებაზე იხილ ითქვა, რომ ნაკრების წევრები სარგებლობდნენ რა ხელმძღვანელთა უფურადღებობით, ხშირად არღვევდნენ რეჟიმს. ამგვარ ფაქტებს პრინციპულ შეფასებას როდი აძლევდა სპორტსახკომის შეხამების სამმართველო. მაგალითად, მოკლედვე შონია დისკალიფიცირებული იყო, მაგრამ ხსენებული სამმართველოს რეკომენდაციით მას სასჯელი მოუხსნეს. გათამამებული სპორტსმენი 5 დღის დაგვიანებით ჩავიდა წინასასპორტკადოლ შეკრებაზე მოსკოვში, რისთვისაც გუნდიდან დაითხოვეს, შემდეგ კი იხევ დააბრუნეს და... შონიამ, რომელსაც ახე ელოლიავებოდნენ, სასპორტკადოლ შეკრებაზე საანგარიშგება-არჩევნო წევრობაზე უფროსი სკოლის რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში ფაქტიურად უფურადღებოდ ჰქავს მიტოვებული 35 შტატის სპეციალისტი, რომელთაც ხელეწივია, ნიჭიერ სპორტსმენთა აღმოჩენა ევალებათ. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რატომ აჩვენეს ჩვენმა მოკლედვებმა სპორტკადისა და სპორტსახკომის უფრო დაბალი შედეგები. კომუნისტებმა ამ კრებაზე სამართლიანად დახვეს კითხვა: ამართლებს კი ჭიდაობის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლა თავის დანიშნულებას? ნაკლოვანებებზე ასევე პრინციპულად იმსჯელებს კომუნისტებმა საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა საცნოსონო სპორტული სკოლის გაერთიანებულ პარტიულ კრებაზე. სპორტკადის ისტორიაში ცხენოსნებმა წელს უფელავე ცუდი შედეგები აჩვენეს. მიზეზი აქაც იდენტურია — უპასუხისმგებლობა, საწვრთნო ვარჯიშების არახისტემატიკობა და დატვირთვის გეგმის შეუსრულებლობა, აღმწრდლობითი მუშაობის შესუსტება, ძვირადღირებული ცხენებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მოუზნადებლობა და ა. შ. ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში გრძელდება.

ბორჯომში მია ჩიხურდინძე — ელენა ანბილოვსკიას მატჩის მეორე ნახევრის დაწყებასთან დაკავშირებით ქურნალისტა ვერდელი-ტალი ჩატარებდა ხვალ, 1 ოქტომბერს „ლელოს“ რეალკეიში დილის 10-დან 11 საათამდე.



სსრ კავშირის ხალხი IX სპარტაკიადა

საპროლეტარული სპორტული დელეგაციის შემადგენელი თევზა

„პრინჯაო“ — რესპუბლიკის სინფრონული ცურვის ნაკრები გუნდი

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტები: ელგუჯა ბერიშვილი, აკთანდილ ბურასაშვილი, გიორგი ჩოჩიანი, დავით პაპაბაძე, თამაზ ხარაბაძე მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებენ:



გოგონაგაი ივანი ბააპარტლას

სინფრონული ცურვის ოსტატ-ტო ასპარეზობის ბოლო დღეს შეჯიბრება გაიმართა ჭგულურ ვარჯიშში.

მოსკოვის გუნდს, რომელიც სპორტკადის კავშირის I ნაკრების წევრებით იყო დაკომპლექტებული, ცხადია, პირველ ადგილს ვერავინ შეეცილებოდა. ასეც მოხდა — მოსკოველებმა 178,41 ქულა მოაგროვეს და სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. ვერცხლის მე-

დლები რუსეთის ფედერაციის გუნდს გადაეცა (169,49 ქულა). ჩვენმა გოგონებმა იანა ალავიძემ, ანელა ვოზნიუკა, ნინო გელაშვილმა, ოლეგ დიკოვამ, ნინო მისურაძემ, ლელა მამიაშვილმა, ელისო მარგველაშვილმა და ხრისტინა ფალასინიძემ (ყველანი სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ წევრები არიან) 168,21 ქულა მოაგროვეს და ბრინჯაოს მედლები მიიღეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაშიც ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. მოსკოვი — 1236 ქულა; 2. რსფსრ — 1170,73, 3. საქართველო — 1137,74. ეს შედეგი ქართველი გოგონების უდავო წარმატებაა. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ნაკრებს IV ადგილი და 140 ქულის მოპოვება ჰქონდა დაგეგმილი. გუნდმა 184 ქულა მოაგროვა და, როგორც ვთქვით, III საპრიზო ადგილი დაიკავა.

უხვეოსავლიანი დღე

27 სექტემბერს დასრულდა სპორტულ ტანმოვარჯიშეთა სასპარტაკიადო ასპარეზობა. შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა ქალთა და ვაჟთა ფინალური ტურნირები ცალკეულ იარაღებზე. როგორც ვიწყობოდით, ფინიშზე კვლავ წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ტანმოვარჯიშეებმა: ოქროსა (დერძე) და ბრინჯაოს (ტაიტი) მედლებს დაუფლდა ვლადიმერ გოგოლაძე, რგოლებზე ვარჯიშში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ალექსანდრე ლევიძე, ბტომებში კი უძლიერესი იყო ეკა ზეთურიძე. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა 338 ქულა მოაგროვა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ვლადიმერ გოგოლაძის დიდ წარმატებაზე უნდა ვთქვათ. თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა სპარტაკიადის მართლაც შესაშური ოსტატობით იასპარეზა. გოგოლაძეს ადრეც არაერთხელ უსახელებია თავი საკავშირო და საერთაშორისო სარბინელზე, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, ხალხთა სპარტაკიადა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრება იყო მისთვის. არადა, ტრავმის გამო თითქმის ნახევარი წელი არ გამოსულა ტურნირებზე და მწელი საფრთხივები იყო, რომ იგი ასეთ კონკურენციას გაუწევდა საბჭოთა ტანვარჯიშის ლიდერებს. გოგოლაძემ, რომ იტყვიან, შე-

უძლებელი შეძლო: სპორტული ფორმაც აღიდგინა, თანაგუნდელებს ვეჯაცური ბრძოლის ნამდვილი მაგალითი მისცა, სტაბილურად იასპარეზა ყველა ვარჯიშში და აბსოლუტურ პირველობაში, როგორც იცით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ვლადიმერ არტიომოვის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. სწორედ მაშინ გახდა ცხადი, რომ ჩვენი ტანმოვარჯიშე ცალკეულ იარაღებზეც მხოლოდ მედლებისთვის იბრძოლებდა. ექვსიდან ხუთ იარაღზე ფინალში გამოსვლა ტრავმამოუშუშებელი სპორტსმენისთვის იოლი არ არის. გულშემბატკიერება და სპეციალისტების განსაკუთრებული დაამასხორდათ გოგოლაძის როტული და დახვეწილი პროგრამა დერძე. საქართველოს ნაკრების კაპიტანი თავიდანვე წაიღებოდა ამ იარაღზე, ფინალშიც თითქმის უშეცდომოდ ივარჯიშა, 9,90 ქულა მიიღო, საბოლოოდ კი 19,50 ქულა დაუგროვდა და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზე გასულ ერეველ ედუარდ გვეორქიანს მხოლოდ 19,20 ქულა ჰქონდა. 19,125 ქულით მესამე იყო ვლადიმერ არტიომოვი.

ტაიტი ვარჯიშზე ფინალის წინ გოგოლაძე მხოლოდ V-VI ადგილებს იყოფდა, მაგრამ ფინალში 9,70 ქულა აიღო და აღმათელ ვალერი



ალექსანდრე ლევიძე სპორტული ტანვარჯიში

დაიბადა 1964 წელს თბილისში. წონა 68 კგ, სიმაღლე 165 სმ. სპორტის ოსტატი, არმიის სპორტკლუბის წევრი. მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ ბოგუნი. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი. საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი ცალკეულ იარაღებზე. საქართველოს IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი მრავალჯერადი, მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადის III პრიზიორი, ხაჭოტია კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი რგოლებზე ვარჯიშში.

საპროლეტარული კავშირის ჩემპიონატი რეგიონში „შეპარდენი“ — უმაღლესი ლიგაში

შაბათს და კვირას გაიმართა რეგიონის საკავშირო ჩემპიონატის „ა“ და „ბ“ ფინალური ჭკუფების მატჩები.

„ა“ ფინალურ ჭკუფში თბილისის „შეპარდენმა“ მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლა.

კარგა ხანია ქართველ გულშემბატკიერებს ასეთი ინტერესით არ უდევნებიათ თვალის რეგისტრატა მატჩებისთვის. პირველი ლიგის ერთ-ერთ ფავორიტს, თბილისის „შეპარდენს“ ცოტადა აკლდა საიმისოდ, უმაღლესი ლიგის გუნდი გამხდარი-

ყო. დიან, რა ხანია ეს გუნდი უმაღლესი ლიგის ზღურბლთან დგას, რა ხანია კიდევ ერთი ქართული გუნდის „არანტი ამალეზას“ ევლოდებით და ამიტომ ვამბობთ „ცოტადა აკლდა“, თორემ მოსკოვის „სპარტაკთან“ ორ მატჩში გამარჯვება იოლი საქმე როდი იყო. მოგეხსენებათ, რა მწელი ამ დროს ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის მდელვარების დაძლევა („შეპარდენის“ მოთამაშეთა საშუალო ასაკი ხომ 22-23 წელია). და მინც, მონდომებამ თავისი გატანა, „შეპარ-

დენმა“ ორივე შეხვედრაში აჯობა მეტოქეს (26:9 და 17:0), „ბ“ ფინალური ჭკუფის ოთხ საუკეთესო კოლექტივს შორის დაიმკვიდრა ადგილი და გაიხდა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ქართველი გულშემბატკიერების სახელით ახალგაზრდა ქართველ რეგისტრატებსა და მათ მწვრთნელს რამაზ სანგბლიძეს ვულოცავთ ამ წარმატებას, ჩვენი გახეთის უახლოეს ნომერში კი დაწვრილებით მოგითხორობთ საბჭოთა რეგისტრატების უმაღლესი ლიგის ამ ახალ ბინადარზე.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი ანგარიში შეპირდა

იუსუპოვ — სოკოლოვის მატჩის მე-11 პარტიაში მეტოქეებმა ფრანგული დატევა გაითამაშეს. სოკოლოვმა, რომელიც თვითი ფიგურებით თამაშობდა, საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მისი რეალიზაცია ვერ მოასწრო — პარტია გადაიღო. მეორე დღეს თამაშის განხილვებზე იუსუპოვი დაწვინდა მეტოქეს...

მატჩის ანგარიში კვლავ ერთი ქულით შეეცირდა — 6:5 იუსუპოვის სასარგებლოდ. ახლა პრეტენდენტებს სამი პარტია დარჩათ სათამაშოდ.


გუშინ უნდა გამართულიყო იუსუპოვ-სოკოლოვის მატჩის მე-12 პარტია, მაგრამ უკანასკნელი ტაიმ-აუტი აიღო იუსუპოვმა. ეს შეხვედრა ხვალ შედგება.

გუშინ კასპაროვ-კარპოვის მეოცე პარტია უამით დამთავრდა.

ინფორმაცია

პატარა, 29 სექტემბერი. იტალიაში ალბინოსტა რეინოლდ მენერმა თავისი მეცამეტე „რეინოლდის“ მწვერვალი დაიპყრო. მაკალე, რომელიც ჰიმალაებში მდებარეობს, 8463 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ერთი კვირის შემდეგ მენერს გადაწყვეტილი აქვს დალაშქროს მწვერვალი ლხობივ (8501 მ).

ტალას (ოკლახომას შტატი). საბჭოთა ჩოგბურთელებმა, მოსკოვში სეველანა პარზომენცო და ლოვოვმა ლარისა სეჩენკომ მეორე ადგილი დაიკავეს „ვირჯინია სლემის“ ტურნირის წყვილთა ასპარეზობაზე.



ფეხბურთის ფედერაციის პრისზე

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ საქავშირო ჩემპიონატში 11 სექტემბრის შემდეგ შესვენებაა. ეს პაუზა გამოწვეულია სსრ კავშირის ნაკრების ევროპის ჩემპიონატში და საბჭოთა გუნდების ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობით. 21 სექტემბრიდან დაიწყო ახალი შეჯიბრება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასზე, უახლოეს შაბათს განახლდება საქავშირო ჩემპიონატის შეხვედრები.

საქმე ისაა, რომ ფედერაციის თასის მატჩებმა თითქმის ერთი თვით დღის წესრიგიდან განდევნა ჩვენი უმთავრესი შეჯიბრება — საქავშირო ჩემპიონატი. რადიკალიზმი საკმაოდ მოდის წერილები, სპეციალისტებიც, მიომხილველებიც არ მალავენ, რომ ამგვარი შეხვედრები ამჟამად არ უწყობს ხელს საქავშირო ჩემპიონატის რიტმულ მსვლელობას. ვის რაში არავია ეს აზრები გაუზიარა, როცა ზაფხული მიიწურა, ჯერ კიდევ შემოდგომის თბილი ამინდებია, ჩემპიონატის მაგივრად კი ახალი „ექსპერიმენტული“ შეჯიბრებით გვივლდება საუკეთესო საფეხბურთო დღეების დაკარგვა. საქავშირო ჩემპიონატი 7 დეკემბერს მთავრდება, ნოემბერსა და დეკემბერში კი ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის ქალაქებში, მოგვხსენებათ, ფეხბურთის თამაში უდიდეს სიძნელეებთანაა დაკავშირებული, სათანადო მინდორები ატალახდება, ყინულითა და თოვლით დაფარება, ორგანიზატორები იძულებული იქნებიან მოსკოვისა და ლენინგრადის დასურთულ დარბაზებში ჩატარონ ჩემპიონატის უმნიშვნელოვანესი დასკვნითი მატჩები. არც ხელოვნურსაფარიანი დასურთული დარბაზი და არც ტალახიანი მინდორი არაფერს იძლევა ფეხბურთის განვითარებისათვის, ასეთ ამინდში თამაში ხშირ შემთხვევაში შორსა დასწამდელი ფეხბურთისაგან.

ყოველი ახალი შეჯიბრება ხელს უწყობს ფეხბურთელთა დაოსტატებას, მაგრამ როცა იგი საქავშირო ჩემპიონატის ხარჯზე მიმდინარეობს, როცა კარგ ამინდში ექსპერიმენტული თამაშებია, ხოლო უმთავრე-

სი, ტრადიციული შეჯიბრება კი ყინვიანი ზამთრის პირობებში ინაცვლებს, ეს, ჩვენი აზრით, აშკარა შეუსაბამობაა.

მართალია, მოსამზადებელი შუალედები ესაუბრება სსრ კავშირის პირველ ნაკრებსაც და ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილე ჩვენს გუნდებსაც, მაგრამ ამ პერიოდში თავისუფალი არიან დანაზრჩენები, რომლებსაც წარმატებით შეუძლიათ ითამაშონ საქავშირო ჩემპიონატი.

უმალესი ლიგის ფეხბურთი უპირველეს ყოვლისა მაყურებელთათვისაა გათვალისწინებული, ნოემბერსა და დეკემბერში კი მათ ვერ მოთხოვ ყინვაში, სუსხსა და წვიმაში ისინი გადუხურავ სტადიონებზე. ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესები აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ მათ, ვინც წლის ბოლოსთვის დაგეგმა საქავშირო ჩემპიონატის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩები.

მართალია, ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშებას აქვს დადებითი, სასარგებლო მხარეები, მაგრამ ლაპარაკია მისი ჩატარების ვადებზე, ზაფხულისა და შემოდგომის თბილი ამინდები უპირველეს ყოვლისა სსრ კავშირის ჩემპიონატს უნდა განეკუთვნოს.

განვიხილოთ კვირის თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ბაქოს „ნეფთჩი“. ამ მატჩში ნათლად გამოიკვეთა ორივე გუნდის მწვრთნელთა პოზიციები ფედერაციის თასის გათამაშების მიმართ. თბილისელთა გუნდის ხელმძღვანელებმა მინდორზე უმთავრესად ახალგაზრდები გამოიყვანა, „დინამო“ ძირითად და სათადარიგო მოთამაშეთა ნაკრების სახით წარსდგა (ფეხბურთის მოყვარულებს გვიჩვენებს ვიდეოტექსტით, რომ თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში აღარ არიან ცნობილი თავდასხმელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. გუცაივი და რ. მენგელია). ბაქოელები კი თამაშზე თავიანთი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. რა თქმა უნდა, ძალების შეფარდება ასეთ ვითარებაში არათანაბარი იყო და გამოცდილმა ბაქოელებმა მიაღწიეს კიდევ გამარჯვებას, თუმცა მასპინძლები ხშირად უტყვევნი (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) და სახიფათო მომენტებსაც ქმნიდნენ.

ერთადერთი ბურთი 43-ე წუთზე გაიტანა სულემანოვმა, რომელმაც

კარგად გამოიყენა მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი. თბილისელებს შეეძლოთ თუნდაც საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ მათ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს მატჩი: „დინამო“ — ბალაქი, მიქაბერიძე, თარბა (მანარაძე), ცვიბია, ბაკურაძე (ბიგვავა), გოგობიანი (ჯონაძე), სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, გურული, რევიშვილი; „ნეფთჩი“ — ელკოვი, აზიმოვი, ბელიალოვი, აბდულაევი, პანჩიკი, ალავერდიევი (რზაევი), სულემანოვი, მიწოლოვი, პუსტინოვი (ფედოროვსკი), აპმედოვი, ჯავაღოვი.

მატჩი კარგად ჩატარა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ა. კოკია, მ. კელიძე, ჯ. წერეთელი.


საინტერესოდ მიმდინარეობდა ფედერაციის თასის მატჩი ერევანში, სადაც ადგილობრივმა „არარატმა“ მიიღო ქუთაისის „ტრატორი“. პირველ ტაიმში დაწინაურდნენ მასპინძლები (ბურთები გაიტანეს ა. ხაჩატრიანი და ქ. როფიანი), შესვენების შემდეგ ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა მანაგაძემ. მატჩი დამთავრდა „არარატის“ გამარჯვებით — 2:1. ქუთაისის „ტრატორმა“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მიქაძე, ფრუიძე, კელიძე, გიგიტაძე, თევზაძე, პაპავა, ქაფიანიძე (პაქოკია), ხუნდაძე, ტყაეძე, მანაგაძე, შენგელია.

ლენინგრადის „ზენიტისა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ მატჩი, რომელიც ლენინგრადში ჩატარდა, დამთავრდა „ზენიტის“ გამარჯვებით — 1:0.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის III ტურის მატჩები გამართება 12 ოქტომბერს. თბილისის დინამოელები მიიღებენ ერევანის „არარატს“, ხოლო ქუთაისის „ტრატორი“ ბაქოში ითამაშებს „ნეფთჩისთან“.

12 ოქტომბრის მატჩის შემდეგ გამოვლინდება ნახევარფინალის მონაწილე 4 გუნდი.

სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი, 25-ე ტურის მატჩები გაიმართება 4, 5 და 6 ოქტომბერს. 5 ოქტომბერს თბილისის დინამოელები კიევეში შეხვდებიან ადგილობრივ თანაკლუბებს, ქუთაისის „ტრატორს“ კი მინსკში ითამაშებს „დინამოსთან“.



28 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საქავშირო გათამაშების 38-ე ტურის მატჩები.

„ლულოს“ ლანჩხუთელი კორესპონდენტი აპთანდნიშ ორმცხაძემ თან ახლდა ლანჩხუთის „გურისას“, რომელიც ამ დღეს ორჯონიძეში ეთამაშებოდა ადგილობრივ „სპარტაკს“. ამ მატჩის შესახებ ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ტელეფონით შეგვატყობინა:

ლანჩხუთელებმა კარგად დაიწყეს თამაში, რამდენიმე საიერიშო კომბინაცია გათამაშეს, მაგრამ სპარტაკელთა ერთ-ერთი კონტრიერიშის დროს კარის წინ დიადარჩა პლოშნიკი, რომელმაც უნაირანად გამოიყენა შექმნილი მდგომარეობა — 1:0. ცოტა ხანში საპასუხო ბურთის გატანის შესაძლებლობა დაკარგა კოპალიშვილმა, 85-ე წუთზე კი ლანჩხუთელებმა თავიანთი საკრიშო მოედანზე დაარდვიეს წესი, რის გამოც დაინიშნა 11-მეტრიანი. დარტყმა ზუსტად გამოიყენა ბაბენჯომ — 2:0. ტაიმის დასასრულამდე იმავე ბაბენჯომ დააწინაურა თავისი გუნდი — 3:0, სპარტაკელებს, თითქმის, გარანტირებული ჰქონდათ გამარჯვება.

მაგრამ „გურისას“ დიდი მონდომებით, მთელი ენერგიით ითამაშეს შეხვედრის შემდეგ ერთ-ერთი იერიშის დროს ფრიდონიშვილმა კარგად გამოიყენა კონტრატევის გადაცემა, საპასუხო გოლი გაიტანა, მალე კი მანვე 2:3-მდე შეამცირა განსხვავება ანგარიშში.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. 75-ე წუთზე კოპალიშვილი სწრაფად გავიდა მეტოქეთა მცველებს შორის, გაათანაბრა ანგარიში და უკვე მანვე, როცა მატჩის დამთავრება ორიოდ წუთი უკლდა, თავი გამოიჩინა აკოფიანმა. მისმა ძლიერმა დარტყმამ გამარჯვება მოუტანა ლანჩხუთის „გურისას“ — 4:3.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „სპარტაკი“ — ზალიევი, ფროლოვი, სტელმახი, სტეფანიანი, დუხოვოვი, ბაბენკო, გაზდანოვი, კოჩმაზოვი, პლოშნიკი, ცხოვრბოვი, ამალოვი (კორკინი); „ბურისა“ — იმნაძე (მედიდოვი), კონდრატევი, გილოგაშვილი, ე. თევზაძე, მელიქია, ებანოძე, კოპალიშვილი, დანელია, მ. თევზაძე, ფრიდონი.

ლიგის შედეგები

ნიშვილი, აკოფიანი (გ. იმნაძე). მსაჯი — ვ. აგევი (კუხტაძე). გააფრთხილეს დუხოვოვი და „გურისის“ თავდამსხმელი გ. იმნაძე.

მრგველს ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:1, „ფაკელი“ (გორიანი) — „სპარტაკი“ (სმორლოვი) 3:0, „კუხუბანი“ (კრასნოდარი) — „კუხუბანი“ (კემეროვი) 2:0, ასე (დონის როსტოვი) — ასე (ხაბაროვსკი) 2:1, „ატლანტასი“ (კლიპედა) — „მეტალურგი“ (ხაბაროვი) 2:0, „დუხოვოვი“ (რიგა) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 2:0, „ფახიპოლი“ (ტაშკენტი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 4:1, „პამირი“ (დუშანბე) — „როსტელმში“ (დონის როსტოვი) 4:0, ასე „კარპატი“ (ლეოვი) — სკვა 0:1, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ტრატორი“ (ვოლოგოდა) 0:4.

მორიგ, 38-ე ტურში, რომელიც 5 ოქტომბერს გაიმართება, ლანჩხუთის შედეგმა ლიგის მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა: ადგილობრივი „გურისა“ მიიღებს თავის ერთ-ერთ უმთავრეს მეტოქეს — ლოლოს ასე „კარპატის“. ბათუმის დინამოელები ამავე დღეს იაროსლავლში შეხვდებიან „შინიკს“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 38 სექტემბრისთვის	თ.	მ.	ფ.	ბ.	ქ.	
„დუხოვოვი“	36	22	9	5	70-36	53
„გურისა“	36	20	5	11	55-52	45
სკვა	36	17	7	10	51-32	45
„სპარტაკი“	36	17	10	10	55-40	44
„პამირი“	36	17	9	10	58-34	43
„ტრატორი“	36	19	4	13	59-44	42
„ლოკომოტივი“	36	16	10	10	48-35	42
„დინამო“ ბ.	36	17	6	13	39-45	40
„შინიკი“	37	14	12	11	34-29	40
სკვ. რ.	36	15	8	13	47-36	38
„როსტელმში“	36	14	10	12	65-54	38
„ფაკელი“	36	15	7	14	41-36	37
„კოლოსი“	36	13	11	12	35-37	37
„ფახიპოლი“	36	14	8	14	45-50	36
„მეტალურგი“	36	14	7	15	46-41	35
„სპარტაკი“	36	10	12	14	47-50	32
„კუხუბანი“	36	10	13	13	31-36	32
„კუხუბანი“	36	10	11	15	44-52	31
„დინ.“ სტ.	36	9	12	15	47-47	30
„კოტაიკი“	36	9	12	15	32-41	30
„სპარტაკი“	37	9	10	18	14-49	28
სკვ. ხ.	36	8	11	17	38-51	27
„ატლანტასი“	36	7	10	19	30-57	24
„ნისტრუ“	37	5	8	24	24-81	18

საბჭოთა კავშირის თასზე

28 სექტემბერს კიევეში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშების ბოლო მერვედფინალური მატჩი. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს II ლიგის IX ზონის წარმომადგენელი კიროვბადის „ქიაფაზის“.

თამაში დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით — 2:1, დინამოელებმა ბურთები გაიტანეს მიხაილიჩენკომ და ბლოხინმა, „ქიაფაზის“ მხრივ — ალიევა.

თბილისის უანავის პირველი ფეხბურთი

ორი ნახევარუნაღისტი უკვე ხსოვილია

ფეხბურთი რომ დიდი პოპულარობით სარგებლობს, ამაში კიდევ ერთხელ დავაჩვენებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით მოწოდებულ ტურნირში მინი-ფეხბურთში თბილისის უანავის გუნდებს შორის. შეჯიბრებამ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საორტულ კომპლექსში დღით-დღე მატულობდა მაყურებელთა რიცხვი, მაგრამ ის, რაც გასულ კვირას, 28 სექტემბერს მოხდა, ალბათ შეჯიბრების ორგანიზატორებისთვისაც კი მოულოდნელი იყო: „ბურევესტნიკის“ საორტულ კომპლექსის დარბაზში მატჩებზე დასწრების მსურველები ვერ დაიტია! ასეთი ინტერესი უფრო, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ გუმინწინ დაიწყო მეოთხედფინალური მატჩები. ამ ეტაპიდან ბრძოლა პირველი ადგილისთვის გაგრძელდა ოლიმპიური სისტემით — დამარცხებული გუნდი შეჯიბრებას ეთიშებოდა.

მე-9 წუთზე გია გამრეკელმა ვერელთა კარში ბურთი გაიტანა — 1:0. ეს ანგარიში ტაიმის ბოლომდე არ შეცვლილა.

მატჩის მეორე ნახევარი სწრაფ ტემპში, ორმხრივი იერიშებით დაიწყო. ორივე გუნდმა გოლის გატანის რამდენიმე ხელსაყრელი მდგომარეობა შექმნა, მაგრამ, კარგად ითამაშეს მეკარეებმა. შემდეგ ნელ-ნელა, კვლავ ვერელთა უპირატესობა გამოიკვეთა. პლენანოველმა სულ უფრო უპირდათ მეტოქეთა შეტევების მოგერიება. მათი დაცვა, რომელიც პირველ ტაიმში შეტად საიმედოდ გამოიყურებოდა, ხშირად უშედეგად შეცდომებდა. მატჩის 27-ე წუთზე (შეგახსენებთ, რომ მატჩი შედგება ორი 20-წუთიანი ტაიმისაგან) ცხოვრებაშიღია ანგარიში გაათანაბრა, მსაჯის საფინალო სასტვენამდე 5 წუთით ადრე კი კოსტავამ ისარგებლა პლენანოველთა დაცვის ცენტრში დასვებული შეტდომით და გადაწყვიტა გოლი გაიტანა — 2:1.

დღემო — ხსენა 2:1 (2:0). მატჩის პირველ ნახევარში მოედნის ბატონობა ბურევესტნიკის დამლეულები იყვნენ. ანგარიში გაიხსნა მე-8 წუთზე, როცა ლამაზი, მრავალსულიანი კომბინაცია გუა არქანამ გოლით დაავიჯრებინა, კიდევ რვა წუთის შემდეგ კი ვასიკო ქუონიამ გამოიჩინა თა-

ფეხბურთი

II ლიგა

გუმინწინა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საქავშირო გათამაშების მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (თბილი-

სი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

გთავაზობთ 26 სექტემბრის შეხვედრათა რამდენიმე შედეგს: „დინამო“ (გორი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „მეზახტე“ (ტყიბული) — „კოლხეთი“ (ფთი) 3:1, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (სოხუმი) 0:0.

XIII-XVIII ალვილები

„სალხინო“ (გეგუქაორი) — „დურუკი“ (ყვარელი) 0:1, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „აპოვენელი“ (თერჯოლა) 2:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 1:0, „სქურთი“ (წულციხისა) — „იმედი“ (თბილისი) 3:3, „მერცხალი“ (მანარაძე) — ფიჯულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1.

ფეხბურთი

II ლიგა

გუმინწინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საქავშირო გათამაშების მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (თბილი-

საპროპაგანდა პირველია

27 და 28 სექტემბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ეტაპის II ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

I-XII ალვილები

„სულორი“ (ვანი) — „მადნეულა“ (ბოლისი) 4:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „მადრევიანი“ (წყალტუბო) 1:5, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე).

თაგაშობან მატჩები

1 ოქტომბერს გაიმართება ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1986-87 წლების გათამაშების პირველი წრის საპასუხო მატჩები.

საბჭოთა კლუბების მეტოქეებმა ამ დღეებში თავიანთი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კალენდარული მატჩები ჩაატარეს.

ბულგარეთის ქალაქ სტარა-ზაგორას „ბეროემ“ სტუმრად მარცხი განიცადა „ვიტოლთან“ შეხვედრაში — 2:3 („ბეროე“ — „ვიტოლი“ — „დინამოს“).

ფეხბურთი

II ლიგა

გუმინწინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საქავშირო გათამაშების მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ლოკომოტივი“ (თბილი-

საპროპაგანდა პირველია

27 და 28 სექტემბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე ეტაპის II ტურის მატჩები I ლიგის გუნდებს შორის.

I-XII ალვილები


„სულორი“ (ვანი) — „მადნეულა“ (ბოლისი) 4:2, „არმაზი“ (მცხეთა) — „მადრევიანი“ (წყალტუბო) 1:5, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე).

თაგაშობან მატჩები

1 ოქტომბერს გაიმართება ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1986-87 წლების გათამაშების პირველი წრის საპასუხო მატჩები.

საბჭოთა კლუბების მეტოქეებმა ამ დღეებში თავიანთი ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კალენდარული მატჩები ჩაატარეს.

ბულგარეთის ქალაქ სტარა-ზაგორას „ბეროემ“ სტუმრად მარცხი განიცადა „ვიტოლთან“ შეხვედრაში — 2:3 („ბეროე“ — „ვიტოლი“ — „დინამოს“).




სეზონი ნარმატუბით დაამთავრეს

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის მთამსვლელებს, რომლებიც ერთ-ერთი მოწინავენი არიან ჩვენს ქვეყანაში, ხშირად ვხვდებით საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობების პრიზიორთა შორის. ჩვენმა მთამსვლელებმა წლებადედი სეზონიც კარგად დაამთავრეს.

სეზონის დაწყებისთანავე ჩვენმა არმიელმა მთამსვლელებმა, რომლებსაც ლევან სარქისოვი ხელმძღვანელობს, შეკრება მოაწყვეს ცენტრალური კავკასიონის ხალდეზე-ზინგის მყინვარის რაიონში და განახორციელეს ასვლები ისეთი სირთულის მწვერვალებზე, როგორცაა შხარა, შოთა რუსთაველის პიკი, ჯანდა და სხვა, შემდეგ კი დაიწყო მწვერვალი ლაქუცა, სადაც მანამდე უვალი გზით ავიდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ გუნდმა დასავლეთ კავკასიონზე (ჩრდილოეთ კავკასიაში) გადაინაცვლა უმაღლესი — შექვეს კატეგორიის სირთულის მარშრუტზე მწვერვალ ნახარის დასაშვრავად... დასავლეთ კავკასიონის ჩრდილოეთ განშტოებაზე თორმეტკილომეტრიან კლდოვან ქედზე აღმართულია საოცარი ფორმის მწვერვალი, რომელიც ფანტასტიკურ ციხესიმაგრესა და კოშკებს მოგვგონებს. ეს კლდოვანი მასივი ნახარის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი სამი მწვერვალისგან შედგება: სამხრეთი, შუა და ჩრდილოეთი (დიდი). ამ უკანსკელის სიმაღლე ზღვის დონიდან 3780 მეტრია.

ნახარის მასივი ბაზალტისა და გრანიტის ქანებისაგან შედგება. თვით სახელწოდება „ნახარი“ სვანურად ნიშნავს „ნარმატუბის“.



ასპარეზობის ერთ-ერთი ეტაპი.

ნური წარმოშობისაა. ამ მწვერვალებს შორისაა მოქცეული ამავე სახელწოდების უღელტეხილი, რომელიც უძველესი დროიდან გადაჰყავდათ საქონელი. ეს უღელტეხილი მეტად პოპულარულია სამთო ტურისტებს შორის და უმოკლესი გზაა ჩრდილოეთ კავკასიონიდან აფხაზეთში გადასასვლელად.

ამ მასივის მწვერვალებიდან მთამსვლელი თვალსაზრისით ტექნიკურად ყველაზე რთული დასაძლევია ჩრდილოეთ ნახარის ჩრდილო-დასავლეთი კედელი, რომელსაც აქვს მონოლითური, თოვლ-ყინულოვანი მონაკვეთები. მათი დახრილობა ზოგან 105 გრადუსია. ეს კედელი თითქმის მთელი დღე ჩრდილშია მოქცეული. მწვერვლიდან თოვლის დნობის გამო წყალი მოქონავს, რაც უფრო ართულებს კედლებზე მოძრაობას.

არმიელმა მთამსვლელებმა წარმატებით დაძლიეს სირთულეები. სამი დღე-ღამის შემდეგ (ბალოებზე დაიბრუნებულ ჰამაკებში ეძინათ) ავიდნენ მწვერვალზე. ამ მწვერვალის დაძლივისათვის ჩვენს მთამსვლელებს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატზე ტექნიკურ კლასში ოქროს მედლები მიაკუთვნეს. ჩემპიონები გახდნენ: ფრიდონ ჯობაძე (ასვლის ხელმძღვანელი), დავით ჩანტლაძე, ბიძინა გუჯაბიძე, ოლეგ ეროზინი, ვალერი როზენბერგი და ალექსანდრე კუდინოვი.

„პირველი გავლის“ კლასში მწვერვალ ლაქუცაზე ასვლისთვის ვერცხლის მედლები მიეკუთვნათ ასევე ჩვენს მთამსვლელებს: ვიჩეხსავე როლიონოვს (ხელმძღვანელი), ლევან სარქისოვს, ვია თორთლაძეს, კარენ საფაროვსა და მიხეილ რიაბოვს.

საკონკურსო ასვლების გარდა ჩვენმა მთამსვლელებმა განახორციელეს მრავალი რთული ასვლა, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ლაშქრობა დასავლეთ კავკასიონზე მეხუთე კატეგორიის სირთულის მწვერვალ „დვუშუბაზე“. ამ მწვერვალზე ავიდნენ თამაზ შამხენიძე (ხელმძღვანელი), ვია თორთლაძე, თამაზ ბაქანიძე და მიხეილ რიაბოვი.

მთამსვლელები პირველად ესტუმრნენ ტიანშანს. ამ საკავშირო ჩემპიონატის მსახურად ბრიგადაში იყო ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მთამსვლელი გივი გიგაური. მან კვალიფიციური მსახობისთვის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ჩემპიონატის დასასრულს გიგაური მონაწილეობდა მწვერვალ „აიუტორზე“ ასვლაში.



დავით ჩანტლაძე.

რაც მთავარია, ჩვენმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბიძინა გუჯაბიძე (ხელმძღვანელი), თამაზ შარაშენიძე, ლევან სარქისოვი და მიხეილ რიაბოვი, დაძლია მწვერვალი ჯიგიტო.

საინტერესოა, რომ ამ მწვერვალზე ათი წლის წინათ ავიდნენ განთიადელი მთამსვლელები გივი ქართველიშვილი, დიმიტრი შარაშენიძე, თამაზ ბაქანიძე, მურად ჭიჭინაძე, ტარიელ ლუკაშვილი და გიორგი ზუმბაძე. მათ მთ საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები დაიმსახურეს. წლებს ჩვენი გუნდი ჯიგიტოზე სულ სხვა გზით ავიდა, მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს გზა სრულიადაც არ იყო იოლი. ჯიგიტოზე საერთოდ არ არსებობს იოლი მარშრუტები.

ასე კარგად დაამთავრეს წლებადედი სეზონი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის წევრებმა.

დავითა პოვალიშვილი.

ტურისტთა საქალაქო

ბურჯინი დიდი პოპულარობით სარგებლობს ქუთაისელ მშრომელთა შორის. საწარმო-დაწესებულებაში იქმნება ტურისტული სექციები, კლუბებიც კი, ხშირად ეწყობა სხვადასხვა შეჯიბრებები, შეკრებები, ლაშქრობები. საინტერესოდ ტარდება ტურისტთა საქალაქო შეკრება-შეჯიბრება ტურისტულ მრავალქიმიში, რომელსაც ყოველი წლის ზაფხულში კომკავშირის, ფიზიკური კულტურის და სპორტის საქალაქო კომიტეტები და ტურისტული კლუბები ოქროს ჩარბახი აწყობს.

ამას წინათ, მდინარე ოლაკურას ხეობაში გაიმართა ტურისტთა შეჯიბრება (მთავარი მსაჯი — საქართველოს სსრ კულტურის და მასშტრუბული მოწყობის მიილი ქალაქის საწარმო-დაწესებულებების ფიზკულტურული კოლექტივების 25 გუნდმა).

შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა ზურგჩანთის გაწყობა, „სათი-გურში“ გამართვა, ტურისტული კროსი ოღროზორო ადგილზე. კლდის მონაკვეთის თოკით დაღვევა, ჰობბოვ გადსვლა, კარვის სწრაფად გაშლა. საერთო ჩათვლაში შედიოდა ტურისტული ბანკის მოწყობა.

ტურისტულ ამანათბენში საუკეთესო შედეგი — 2 წუთი 28 წამი აჩვენეს ბაშბის საქსოვი საწარმო გაერთიანების ტურისტებმა.

მეორე ადგილზე გაიდა არმიელის საქალაქო კავშირთაგანის გუნდი, მესამეზე — ელიტრომეპანი კური ქარხნის ჩაქრები.

შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და კარგი მომზადება გამოავლინეს საავტომობილო, რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა, მოტობლოკების, ლითონის ქარხნების, ავტოსტრანსპორტის საწარმოო გაერთიანებისა და სახლმშენებელი კომბინატის გუნდებმა.

ქუთაისელ ტურისტთა საზაფხულო სეზონი ამ შეჯიბრებით არ დამთავრებულა. 27 სექტემბერს გაიმართა მსოფლიო ტურისტის დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საქალაქო ტურისტული ამანათბენი დევიზით: „დედა, მამა, მე და... ზურგჩანთა“, ხოლო წლებადედი სეზონის შემთავრებელი ღონისძიება იქნება ასევე ტრადიციული შეკრება-შეჯიბრება ცნობილი მხარეთმცოდნის პეტრე ქაბუჯიანის სახელობის გარდაშვალთასზე, ყოველ შაბათ-კვირას საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისათვის, მათი ოჯახის წევრებისათვის ჩატარდება მასობრივი ტურისტული ვასკელები ქალაქგარეთ, ტურისტთა დასვენების საღამოები და სხვა.

თამაზ კოლხიძე, „ლელო“ საქ. კორ. ქუთაისი.

მონღოლის დაპყრობის ზეიმი

საზრანგეთში ახლახან ზეიმით აღნიშნეს დასავლეთ ევროპის უმაღლესი მწვერვალის მონღოლის (4.807 მ) დაპყრობის 200 წლისთავი. 1786 წლის 8 აგვისტოს ორი მამაცი ალბინსტი, ექიმი მიშელ-გაბრიელ პაკარი და ეპი ბალმა პირველი ავიდნენ მონღოლანზე.

ამ ღირსშესანიშნავ დღესთან დაკავშირებით მონღოლის მთის ძირას მოეწყო ხალხმრავალი დღესასწაული, ორი საუკუნის წინანდელი ტანსაცმლით გამოწყობილი ორი ალბინსტი გაუდგა პირველი დაპყრობა მარშრუტს, შემდეგ კი გაიმართა მწვერვალის დაპყრობა ძეგლის საზეიმო გახსნა. დაღამებისას მონღოლის ფერდობებზე აინთო გიგანტური ჩირაღდნები ზუსტად იმ ვხით, რომლითაც 200 წლის წინათ მიადღვიეს მწვერვალს მ. პაკარმა და ე. ბალმა.

ალბების ამ უმაღლესი მწვერვალის დაპყრობისთან მრავალი საინტერესო ამბავია დაკავშირებული, აღრიცხულია რეკორდებიც. და აი, კიდევ ერთი ასალი რეკორდი: ფრანგმა ალბინსტებმა ტ. გა-

კალაიდოსკოპი

ზანმა და პ. კიუზენმა სტარტი აიღეს ქალაქ შამონი-მონ-ბლანდიდან ზუსტად 5 საათის შემდეგ მიადღვიეს მწვერვალს, შემდეგ უკან გამობრუნდნენ და სტარტიდან 7 საათისა და 56 წუთის შემდეგ ჩამოვიდნენ ძირს. აღრიცხული რეკორდი დაპყრობილი იყო 1975 წელს და უდრიდა 8 საათს 10 წუთს. ტ. ვაზანმა და პ. კიუზენმა თავიანთი რეკორდი მონღოლის დაპყრობის 200 წლისთავს მიუძღვნეს.

პალეს მონაწილეობით

ბრაზილიის კინოთეატრებში მრავალი მაყურებელი ესწრება კომედიურ ფილმს სპორტულ თემაზე, რომელშიც გამოჩენილი ფეხბურთელი პელი თამაშობს. ფილმი დეტექტიურია, მასში ამხელენ საქმისათვის სპორტულ მაქინაიებს. კინოკრიტიკოსები ფილმის მხატვრულ ღირსებებზე უფრო იმსუსვამენ ხაზს, რომ 46 წლის „ფეხბურთის მეფე“ ჩინებულ სპორტულ ფორმაში იმყოფება.

პარკიის 800 წლისთავისათვის

რომორც ვიუწყებოდით, მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს ქართული ზურთომოდორების ძეგლს — ციხე-ქალაქ ვარძიას არსებობის 800 წელი უსრულდება. გაუწყეთ ისიც, რომ ამ დღეებში ვარძიას-

კენ ცხენებით გაემგზავრა საქართველოს ტელევიზიისა და რადიო-მაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის შემოქმედებითი ჯგუფი. ექსპედიციის წევრებმა პირველ დღეს გაიარეს მდინარე ვერეს ხეობა, მანგ-

ლისის სანახები და დამის გასათევად თრიალეთის მაღალმთიან სოფელ ნაპილნარში შეჩერდნენ. შემდეგ ექსპედიცია ეწვია უძველეს ციხე-სიმაგრე კლდეკარს, გადაიარეს ორიალეთის ქედის უღელტე-

ხილი, ჩავიდნენ წალკის რაიონის სოფელ ბეშთაშენში. წინ არის გოგაშენი — ხერთვისი — თმოგვი — ვარძია.

თამაზ ქიქავას ტექსტი და ფოტოები.



კლდეკარის გასახველთან.



ექსპედიციის წევრებმა სოფელ ნაპილნარში შეისვენეს...

ფასით — დადაიფის გარეშე

იტალიის ქალაქ მილანის მკვიდრი 50 წლის ჯორჯო რიკატო დიდ მანძილებზე ფეხით სიარულის დიდი მოყვარულია. თავისი ცხოვრების ბოლო 25 წლის მანძილზე მან დედამიწასაც შემოუარა გარშემო, ყველა კონტინენტი გადასერა და, საერთოდ, ფეხით 250 ათასი კილომეტრი გაიარა.

„სპორტლოტო“

გაუზიფინე მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მთრივი, 39-ე ტორაეები. „სპორტლოტო 6-45“-დან: 5 (თავისუფალი ქიდაობა), 10 (წყალბურთა), 18 (მძლეონობა), 27 (მშველდონობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში), 37 (აკრობატიკა). „სპორტლოტო 5-36“-დან: 1 (კალათბურთი), 9 (საგზატყვილო მლორობოლა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 16 (საკანოსონო სპორტი), 27 (მშვილდონობა).

რედაქტორის მოადგილე თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენნი მისამართი: წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.	რედაქციის ტელეფონები: სამდივო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58, წერილების განყოფილება — 98-97-55, „მართვე“ — 98-97-27, „მერანი“ — 98-97-26.	ჩვენნი ინდექსი: 66485	საქართველოს კ. ც. ვ. გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.
--	---	--------------------------	--

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05831